საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი

თავდაცვის სფეროში ადამიანის უფლებების დაცვის დეპარტამენტის საქმიანობის 2019 წლის ანგარიში

2020

სარჩევი

შესავალი 3

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა 3

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა 5

საქართველოს გენერალური პროკურორის მიმართ გაცემული რეკომენდაციის შესრულების მდგომარეობა 5

საქართველოს მთავრობის მიმართ გაცემული რეკომენდაციის შესრულების მდგომარეობა 6

დადებითი ტენდენციები 6

2019 წელს განხორციელებული მონიტორინგის შედეგების მიხედვით შემუშავებული ანგარიშები და მათი შედეგები 8

შესავალი

წინამდებარე ანგარიშში წარმოდგენილია სახალხო დამცველის 2018 წლის საპარლამენტო ანგარიშში მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია, რომელიც შეეხებოდა თავდაცვის სფეროში ადამიანის უფლებებს; ასევე 2019 წელს სახალხო დამცველის აპარატის თავდაცვის სფეროში ადამიანის უფლებების დაცვის დეპარტამენტის მიერ განხორციელებული საქმიანობისა და სამხედრო ნაწილებში ჩატარებული მონიტორინგის შედეგების შესახებ ინფორმაცია.

თავდაცვის სფეროში ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის 2018 წლის საპარლამენტო ანგარიშში საქართველოს სახალხო დამცველმა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, საქართველოს გენერალური პროკურატურისა და საქართველოს მთავრობის მიმართ გასცა 12 რეკომენდაცია, მათგან, საქართველოს პარლამენტის დადგენილებაში აისახა 7 რეკომენდაცია.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ნაწილობრივ გაითვალისწინა სახალხო დამცველის რეკომენდაცია, რომელიც შეეხებოდა სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის დიპლომატიური წარმომადგენლობისა და ეროვნული საგანძურის დაცვის სამმართველოს განყოფილებებში არსებული ინფრასტრუქტურული პრობლემების აღმოფხვრას და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას - აღმოიფხვრა სველი წერტილების პრობლემები და გაძლიერდა კონტროლი სანიტარულ-ჰიგიენური კუთხით.[1] აღნიშნული ინფორმაცია გადამოწმებულია სახალხო დამცველის რწმუნებულების მიერ განყოფილებებში განხორციელებული განმეორებითი ვიზიტების შედეგად; სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა უზრუნველყოფილია, თუმცა იმ ქვეგანყოფილებებში, რომლებიც ახორციელებენ თურქეთის და ლიეტუვას საელჩოების დაცვას, კვლავ არ არის უზრუნველყოფილი სასმელი წყლის მიწოდება, ასევე მოუგვარებელია საპირფარეშოს პრობლემა, პირად შემადგენლობას გადასვლა უწევს ახლომდებარე ობიექტებზე (კორეის და იაპონიის საელჩოები) დაახლოებით 300 მეტრში.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ასევე გაითვალისწინა მეორე რეკომენდაცია, რომლითაც სახალხო დამცველი ითხოვდა სამხედრო მოსამსახურეებისთვის შრომის ანაზღაურების დაანგარიშებას თვის განმავლობაში სადღეღამისო განწესში გასული დღეების რაოდენობის პროპორციულად - 2019 წლის ივლისის თვიდან სსიპ დაცვის

[1] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 06/01/2020 წლის N MIA 62000031636 წერილი

პოლიციის დეპარტამენტის დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და ეროვნული საგანძურის დაცვის სამმართველოს მე-6 და მე-7 ქვეგანყოფილებების სამხედრო მოსამსახურეებსა და თანამშრომლებს სამუშაო ცვლიდან თავისუფალ დღეებში დამატებით მომსახურების შესრულებისთვის ეძლევათ დანამატი დარიცხულ ხელფასზე.[2] აღნიშნული ინფორმაცია გადამოწმებულია სახალხო დამცველის რწმუნებულების მიერ განყოფილებებში განხორციელებული განმეორებითი ვიზიტების დროს, პირად შემადგენლობასთან ჩატარებული გასაუბრების შედეგად.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაითვალისწინა მესამე რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის დიპლომატიური წარმომადგენლობისა და ეროვნული საგანძურის დაცვის სამმართველოს მე-6 და მე-7 ქვეგანყოფილებებში პირადი შემადგენლობის თანაბრად განაწილების დარეგულირებას, რათა სამხედრო მოსამსახურეებს თანაბრად შეძლებოდათ დასვენების დროით სარგებლობა - მე-6 და მე-7 ქვეგანყოფილებებში სამხედრო მოსამსახურეებისთვის სპეციალური კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით, შესრულებულია მითითებული რეკომენდაცია და პირადი შემადგენლობისთვის სათანადო პირობები მაქსიმალურად უზრუნველყოფილია.[3] აღნიშნული ინფორმაცია, ასევე, გადამოწმებულია სახალხო დამცველის რწმუნებულების მიერ განყოფილებებში განხორციელებული განმეორებითი ვიზიტების დროს, პირად შემადგენლობასთან ჩატარებული გასაუბრების შედეგად. პირადი შემადგენლობა განყოფილებებში ნაწილდება თანაბრად და აღარ უწევთ დღეგამოშვებით რეჟიმზე მუშაობა.

მეოთხე რეკომენდაცია ეხებოდა შინაგან საქმეთა სამინისტროში მომსახურე სავალდებულო სამხედრო მოსამსახურეების მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში, მათ მიმართ, სასჯელის სახედ არასაწესდებო პასუხისმგებლობის ზომის გამოყენების პრაქტიკის აღმოფხვრას და ამ მიზნით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციის მიერ, არსებული მდგომარეობის სისტემატურად კონტროლს, რაც ასევე გაიზიარა შინაგან საქმეთა სამინისტრომ, აღნიშნული რეკომენდაციების შესრულებაზე შინაგან საქმეთა სამინისტროდან მიღებული ინფორმაციით - შსს-ს გენერალური ინსპექციის მიერ სისტემატურად ხორციელდება იმ დანაყოფების შემოწმება, სადაც ვადიანი სამხედრო მოსამსახურეები მსახურობენ.[4]

არ შესრულდა რეკომენდაცია, რომელიც შეეხებოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის დიპლომატიური წარმომადგენლობისა და

---

[2] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 06/01/2020 წლის N MIA 62000031636 წერილი
[3] იქვე.
[4] იქვე.

ეროვნული საგანძურის დაცვის სამმართველოს განყოფილებებში არსებული მცირე ზომის ჯიხურების ნაცვლად მოწყობილიყო მოზრდილი, კეთილმოწყობილი ოთახები განწესში მყოფი პირადი შემადგენლობის მოსასვენებლად - აღნიშნულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტროსგან პასუხი არ მიგვიღია.

ასევე, შინაგან საქმეთა სამინისტრომ არ გაითვალისწინა სახალხო დამცველის რეკომენდაცია, სადაც მოთხოვნილი იყო, შესულიყო ცვლილება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოხდის წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის N 1009 ბრძანებაში, რომლითაც კონკრეტულად განისაზღვრებოდა სამხედრო მოსამსახურის დღეგამოშვებით სამუშაო რეჟიმზე გადაყვანის საფუძველი, მაქსიმალური ვადა და პირობები - სამწუხაროდ, შინაგან საქმეთა სამინისტროსგან, არც აღნიშნული რეკომენდაციის შესრულებაზე მიგვიღია პასუხი.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ გაწეული რეკომენდაციებიდან, ეტაპობრივად სრულდება რეკომენდაცია, რომელიც შეეხება თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ნაწილებში არსებული ინფრასტრუქტურული მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხს, 2020 წელს თავდაცვის სამინისტრო გეგმავს ინფრასტრუქტურის სრულ განახლებას და სამხედრო მოსამსახურეთა საცხოვრებელი პირობების არსებითად გაუმჯობესებას;[5] საანგარიშო წლის განმავლობაში თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ნაწილებში განხორციელებულმა ვიზიტებმა ცხადყო, რომ არ შესრულებულა სახალხო დამცველის რეკომენდაცია, რომელიც შეეხებოდა, სამხედრო ნაწილებში სავალდებულო სამხედრო მოსამსახურეების მხრიდან დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში, მათ მიმართ არასაწესდებო პასუხისმგებლობის ზომის გამოყენებისა და ჯგუფური დასჯის პრაქტიკის აღმოფხვრას.

საქართველოს გენერალური პროკურორის მიმართ გაცემული რეკომენდაციის შესრულების მდგომარეობა

არ შესრულებულა საქართველოს გენერალური პროკურორის მიმართ გაწეული რეკომენდაცია, სადაც, სახალხო დამცველი ითხოვდა, რომ საქართველოს გენერალურ პროკურორს საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 172-ე მუხლის შესაბამისად, წარდგენილ ანგარიშში, წარმოედგინა მოსაზრება თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ნაწილებში მომხდარი გარდაცვალების ფაქტებზე აღძრული სისხლის სამართლის

[5] საქართველოს თავდაცვის მინისტრის 09/12/2019 წლის N MOD 01901272824 კორესპონდენცია; საქართველოს თავდაცვის მინისტრის 22/10/2019 წლის N MOD 31901083809 კორესპონდენცია; საქართველოს თავდაცვის მინისტრის 24/01/2020 წლის N MOD 12000076147 კორესპონდენცია

საქმეების გამოძიების ეფექტიანობის თაობაზე - აღნიშნული რეკომენდაცია ეხებოდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ნაწილებში 2015 წელს მომხდარ ორი გარდაცვალების ფაქტზე აღძრულ სისხლის სამართლის საქმეს, რომლებზეც გამოძიება დღემდე არ დასრულებულა[6].

საქართველოს მთავრობის მიმართ გაცემული რეკომენდაციის შესრულების მდგომარეობა

ასევე, არ შესრულებულა საქართველოს მთავრობის მიმართ გაცემული რეკომენდაცია. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პარლამენტმა გაიზიარა სახალხო დამცველის 2018 წლის საპარლამენტო ანგარიშში საქართველოს მთავრობის მიმართ გაწეული რეკომენდაცია საგადასახადო კოდექსის ცვლილებისა და დამატებების ინიცირების შესახებ და დაადგინა, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2020 წლიდან საშემოსავლო გადასახადის შეღავათი ვეტერანთა მიმართ გაეზარდა 6 000 ლარამდე, ხოლო მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ვეტერანთა მიმართ - 9 000 ლარამდე. თუმცა, აღნიშნულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, ფინანსთა სამინისტრომ მიზანშეწონილად არ მიიჩნია საგადასახადო შეღავათების გაზრდა.[7] სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ ამ შეღავათების დაწესება ხელს შეუწყობს ვეტერანების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას და მათი სხვა უფლებების დაცვას. ამასთან, „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, სახელმწიფო პოლიტიკა ვეტერანების მიმართ ითვალისწინებს სახელმწიფო პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას, რომლებიც უზრუნველყოფენ ვეტერანებისა და მათი ოჯახის წევრების სამართლებრივი და სოციალურ-ეკონომიკური შეღავათების გარანტიების და მათი პრაქტიკული შესრულებისათვის ღონისძიებათა სისტემის შექმნას.

დადებითი ტენდენციები

დადებითად უნდა აღინიშნოს საქართველოს მთავრობის მიერ 2019 წლის 14 მაისის N 222 დადგენილებით, „სოციალური პაკეტის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2012 წლის 23 ივლისის N 279 დადგენილებაში განხორციელებული ცვლილება, რომლის საფუძველზეც გათანაბრდა საყოფაცხოვრებო სუბსიდიით მოსარგებლეთა მდგომარეობა და საყოფაცხოვრებო სუბსიდიით სარგებლობის შესაძლებლობა მიეცა ვეტერანის სტატუსის მქონე ყველა პირს. აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველი არაერთი წელი მიმართავდა საქართველოს მთავრობას ამ

---

[6] საქართველოს პროკურატურის 2018 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში. ასევე, საქართველოს გენერალური პროკურატურის 2020 წლის 6 მარტის #13/14788 წერილი.

[7] საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 25/12/2019 წლის N 08-02/139876 კორესპონდენცია

რეკომენდაციით, რაც არ სრულდებოდა. 2018 წელს საქართველოს პარლამენტმა გაიზიარა (2018 წლის 19 ივლისის საქართველოს პარლამენტის დადგენილება N 3148-რს) სახალხო დამცველის რეკომენდაცია და დაადგინა რომ საქართველოს მთავრობას უნდა განეხორციელებინა შესაბამისი ცვლილება ამ რეკომენდაციის შესასრულებლად, თუმცა, საპარლამენტო განხილვისას საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლების განცხადებით, არც 2019 წელს არ იგეგმებოდა ამ მიმართულებით საბიუჯეტო ასიგნებების გაზრდა. აღნიშნულის გათვალისწინებით, სახალხო დამცველმა 2018 წლის 17 ოქტომბერს (18-4/13146) კონსტიტუციური სარჩელით მიმართა საკონსტიტუციო სასამართლოს „სოციალური შეღავათების მონეტიზაციის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2007 წლის 11 იანვრის N 4 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-8 მუხლის მე-7 პუნქტის არაკონსტიტუციურად ცნობისა და ძალადაკარგულად გამოცხადების მოთხოვნით. საქართველოს მთავრობამ მხოლოდ საკონსტიტუციო სარჩელის წარდგენის შემდეგ მიიღო გადაწყვეტილება და ცვლილება შეიტანა დადგენილებაში, რომლის საფუძველზეც, ვეტერანის სტატუსის მქონე ყველა პირს მიეცა საყოფაცხოვრებო სუბსიდიის მიღების შესაძლებლობა.

ასევე, სახალხო დამცველი დადებითად აფასებს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვითაც, საქართველოს თავდაცვის ძალების ქვედანაყოფებში, წვევამდელები 2019 წლის 1 სექტემბრიდან, სავალდებულო სამხედრო სამსახურს გადიან სამხედრო ნაწილში 3 დღეში ერთხელ გამოცხადებით, თუმცა სავალდებულო სამხედრო მოსამსახურეებთან ჩატარებული ჯგუფური და ინდივიდუალური გასაუბრების შედეგად დადგენილია, რომ აღნიშნული ცვლილების შედეგად გაიზარდა მათი ხარჯები, რადგან უფრო ხშირად უწევთ საცხოვრებელი სახლიდან სამხედრო ნაწილამდე გადაადგილება, შესაბამისად გაეზარდათ ტრანსპორტირების ხარჯები, მათი ხელფასი (50 ლარი) კი არ არის საკმარისი ტრანსპორტირების ხარჯებისა დასაფარად და უწევთ საცხოვრებელი სახლიდან სამხედრო ნაწილამდე საკუთარი ხარჯებით გადაადგილება, აღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველმა გასცა რეკომენდაცია თავდაცვის სამინისტროს მიმართ, რომ გაიზარდოს სავალდებულო სამხედრო მოსამსახურეების ხელფასი მინიმუმ იმ ოდენობით, რომ უზრუნველყოფილი იქნეს მათი საცხოვრებელი სახლიდან სამხედრო ნაწილამდე ტრანსპორტირების ხარჯების სრული დაფარვა, მისასალმებელია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო იზიარებს სახალხო დამცველის ამ რეკომენდაციას და გეგმავს სავალდებულო სამხედრო მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურებისა და სოციალური პირობების გასაუმჯობესებლად ახალი მიდგომების შემუშავებას.[8]

[8] საქართველოს თავდაცვის მინისტრის 09/12/2019 წლის N MOD 01901272824 კორესპონდენცია

2019 წელს განხორციელებული მონიტორინგის შედეგების მიხედვით შემუშავებული ანგარიშები და მათი შედეგები

2019 წელს თავდაცვის სფეროში ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტმა მონიტორინგის ფარგლებში მოინახულა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი 35 სამხედრო ნაწილი,[9] საქართველოს რეგიონული

---

[9] საქართველოს თავდაცვის ძალების ავიაციისა და საჰაერო თავდაცვის სარდლობის შერეული საავიაციო ესკადრილია; საქართველოს თავდაცვის ძალების ჯარების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის საავტომობილო ბაზა; საქართველოს თავდაცვის ძალების ჯარების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის შეიარაღებისა და ტექნიკის სარემონტო ბაზა; საქართველოს თავდაცვის ძალების წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობის სასწავლო მხარდამჭერი ცენტრი - კრწანისი; საქართველოს თავდაცვის ძალების წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობის გ. ანწუხელიძის სახელობის სერჟანტთა აკადემია; საქართველოს თავდაცვის ძალების აღმოსავლეთ სარდლობის I ქვეითი ბრიგადის 5 ცალკეული ასეული; საქართველოს თავდაცვის ძალების აღმოსავლეთ სარდლობის I ქვეითი ბრიგადის მე-15 საარტილერიო ბატალიონი; საქართველოს თავდაცვის ძალების აღმოსავლეთ სარდლობის I ქვეითი ბრიგადის უზრუნველყოფის ბატალიონი; საქართველოს თავდაცვის ძალების აღმოსავლეთ სარდლობის I ქვეითი ბრიგადის მე-11 ბატალიონი; საქართველოს თავდაცვის ძალების სპეციალური ოპერაციების ძალები; საქართველოს თავდაცვის ძალების საჰაერო თავდაცვის ბრიგადა; საქართველოს თავდაცვის ძალების ავიაციისა და საჰაერო თავდაცვის სარდლობის ცენტრალური საკომანდო პუნქტი; საქართველოს თავდაცვის ძალების საჰაერო თავდაცვის ბრიგადის I საზენიტო ბატალიონი; საქართველოს თავდაცვის ძალების წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობის საწყისი საბრძოლო მომზადების ცენტრი - ალგეთი; საქართველოს თავდაცვის ძალების ეროვნული გვარდია; საქართველოს თავდაცვის ძალების საბრძოლო საინჟინრო ბატალიონი; საქართველოს თავდაცვის ძალების მე-3 ქვეითი ბრიგადის 5 ცალკეული ასეული; საქართველოს თავდაცვის ძალების მე-3 ქვეითი ბრიგადის 32-ე ბატალიონი; საქართველოს თავდაცვის ძალების მე-3 ქვეითი ბრიგადის უზრუნველყოფის ბატალიონი; საქართველოს თავდაცვის ძალების მე-6 საარტილერიო ბრიგადის 21-ე ბატალიონი; საქართველოს თავდაცვის ძალების მე-6 საარტილერიო ბრიგადის 62-ე ბატალიონი; საქართველოს თავდაცვის ძალების მე-6 საარტილერიო ბრიგადის 63-ე ბატალიონი; საქართველოს თავდაცვის ძალების ჯარების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის ლოჯისტიკის ცენტრის (დასავლეთი) ლოჯისტიკური უზრუნველყოფის ბატალიონი; საქართველოს თავდაცვის ძალების მე-2 ქვეითი ბრიგადა; საქართველოს თავდაცვის ძალების ეროვნული გვარდიის მე-10 კადრირებული ბრიგადა; საქართველოს თავდაცვის ძალების სპეციალური ოპერაციების ძალების სპეციალური ოპერაციების ბატალიონი - დასავლეთი; საქართველოს თავდაცვის ძალების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის „ცენტრი დასავლეთის" დაცვის ბატალიონი; საქართველოს თავდაცვის ძალების საჰაერო თავდაცვის ბრიგადის I რადიოლოკაციური ბატალიონი; საქართველოს თავდაცვის ძალების საჰაერო თავდაცვის ბრიგადის I რადიოლოკაციური ბატალიონის მე-2 რადიოლოკაციური ბატარეა; საქართველოს თავდაცვის ძალების ეროვნული გვარდიის მე-20 კადრირებული ბრიგადა; საქართველოს თავდაცვის ძალების აღმოსავლეთ სარდლობის I ქვეითი ბრიგადის მე-13 ქვეითი ბატალიონი; საქართველოს თავდაცვის ძალების წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობის უფროს სერჟანტ ზაზა ფერაძის სახელობის საწყისი მომზადების ცენტრი; საქართველოს თავდაცვის ძალების სამხედრო დაზვერვის დეპარტამენტის მე-3 სამმართველოს I განყოფილება; საქართველოს თავდაცვის ძალების ეროვნული გვარდიის მე-20 კადრირებული

განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სამხედრო სამსახურში გაწვევისა და კოორდინირების დეპარტამენტი; სპეციალური პენიტენციური სამსახურის გარე დაცვისა და ბადრაგირების მთავარი სამმართველოს მე-8 და მე-12 განყოფილებები, მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო განყოფილება და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის, ვაკის და კრწანისის რაიონის სამხედრო განყოფილებები.

გარდა ზემოთ აღნიშნული საქმიანობისა, 2019 წელს თავდაცვის სფეროში ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტში შემოვიდა 25 ინდივიდუალური განცხადება, საკუთარი ინიციატივით დაიწყო 10 საქმის შესწავლა.

განხორციელებული მონიტორინგის შედეგების მიხედვით მომზადდა 5 ვიზიტის შემდგომი ანგარიში და შესაბამისი რეკომენდაციებით მიეწოდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს. ჯამში გაიცა 102 რეკომენდაცია, რომელთაგან უმეტესობა - 66 რეკომენდაცია შეეხება ინფრასტრუქტურული პრობლემების აღმოფხვრის საკითხს; სავალდებულო სამხედრო მოსამსახურეების მიმართ არასაწესდებო სასჯელის გამოყენებას შეეხება - 2 რეკომენდაცია; სამხედრო ნაწილებში თარჯიმნის პერიოდულ ვიზიტებს შეეხება - 1 რეკომენდაცია; სამხედრო ფორმითა და სამხედრო ფორმის ფეხსაცმელებით უზრუნველყოფის საკითხს შეეხება - 6 რეკომენდაცია; იურიდიულ დოკუმენტაციაში არსებული ხარვეზების აღმოფხვრას შეეხება - 7 რეკომენდაცია; სამედიცინო ინვენტარით და მედიკამენტებით უზრუნველყოფის საკითხს შეეხება - 8 რეკომენდაცია; სადაზღვევო კომპანიასთან არსებული სადაზღვევო პაკეტების დარეგულირების საკითხს შეეხება - 2 რეკომენდაცია; დათხოვნებით და შვებულებით სარგებლობის საკითხს შეეხება - 5 რეკომენდაცია; სავალდებულო სამხედრო მოსამსახურეთათვის მობილური ტელეფონით სარგებლობის საკითხს შეეხება - 1 რეკომენდაცია; სავალდებულო სამხედრო მოსამსახურეთათვის ხელფასის გაზრდის საკითხს შეეხება - 1 რეკომენდაცია; სამხედრო ნაწილებში საჩივრის ყუთების განლაგების საკითხს შეეხება - 1 რეკომენდაცია; სამხედრო ნაწილის ექიმების მიერ საკვების გასინჯვის არსებული პრაქტიკის მიზანშეწონილობის საკითხს შეეხება - 1 რეკომენდაცია; ხელფასზე დანამატის სახით საცხოვრებელი ბინის ქირის გამოყოფის საკითხს შეეხება - 1 რეკომენდაცია.

წინა წლების მსგავსად კვლავ აღმოუფხვრელ პრობლემად რჩება სავალდებულო სამხედრო მოსამსახურეების მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში, მათ მიმართ არასაწესდებო სასჯელის გამოყენება (რიგგარეშე ფიზიკური დატვირთვა - სირბილი, აზიდვები და სხვა, რომელიც არ არის გათვალისწინებული დღის განრიგით) და ჯგუფური დასჯის პრაქტიკა - „ერთი

ბრიგადის საველე ბანაკი - პალდო; საქართველოს თავდაცვის ძალების საპარაშუტე მომზადების სკოლა.

ყველასთვის, ყველა ერთისთვის პრინციპით", აღნიშნულთან დაკავშირებით, სახალხო დამცველმა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ გასცა შესაბამისი რეკომენდაცია, რომ აღმოფხვრილიყო სავალდებულო სამხედრო მოსამსახურეების მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში, პასუხისმგებლობის ზომად არასაწესდებო სასჯელის გამოყენება და ჯგუფური დასჯის პრაქტიკა, ამ მიზნით კი საქართველოს თავდაცვის ძალების სამხედრო პოლიციის დეპარტამენტს სისტემური კონტროლი გაეწია სამხედრო ნაწილებში არასაწესდებო სასჯელის გამოყენებისა და ჯგუფური დასჯისთვის. თავდაცვის სამინისტრომ გაიზიარა სახალხო დამცველის აღნიშნული პოზიცია და გვაცნობა, რომ ჩვენს მიერ მიწოდებული მონიტორინგის შედეგები, შემდგომი რეაგირების მიზნით გადაეგზავნა სამხედრო პოლიციის დეპარტამენტს, ასევე ქვედანაყოფების მეთაურებს მიეცათ გაფრთხილება, დისციპლინურ გადაცდომებზე გაატარონ მხოლოდ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის სამხედრო მოსამსახურეთა სამხედრო სადისციპლინო წესდებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.[10] თუმცა, მონიტორინგის განხორციელების პერიოდში, სახალხო დამცველის რწმუნებულებისთვის ცნობილი გახდა, რომ თავდაცვის სამინისტროს რიგ სამხედრო ნაწილებში[11] აღნიშნული პრობლემა დღემდე გამოწვევად რჩება.

სამხედრო მოსამსახურეებთან ჩატარებული გასაუბრების შედეგად, ასევე, გამოვლინდა სამედიცინო დაზღვევასთან დაკავშირებული პრობლემები; საკონტრაქტო სამხედრო მოსამსახურეებს ხშირ შემთხვევაში სადაზღვევო კომპანია არ უნაზღაურებს არაპროვაიდერ კლინიკებში მიღებული სამედიცინო მომსახურებისთვის გადახდილ თანხას. ამასთან, არსებული სადაზღვევო პაკეტები, რომლითაც სარგებლობენ თავდაცვის უწყებაში ჩარიცხული სავალდებულო სამხედრო მოსამსახურეები, სრულად ვერ უზრუნველყოფენ არსებულ საჭიროებებს, სავალდებულო სამხედრო მოსამსახურეებთან მიმართებით. ამ საკითხთან დაკავშირებით, სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა[12] თავდაცვის სამინისტროს, რომ სადაზღვევო კომპანიასთან სამედიცინო მომსახურების ანაზღაურების საკითხი დარეგულირდეს იმგვარად, რომ სამხედრო მოსამსახურეებს მიეცეთ საშუალება აუნაზღაურდეთ არაპროვაიდერ კლინიკებში მიღებული

---

[10] საქართველოს თავდაცვის მინისტრის 02/09/2019 წლის N MOD 81900894607 კორესპონდენცია

[11] საქართველოს თავდაცვის ძალების ჯარების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის შეიარაღებისა და ტექნიკის სარემონტო ბაზა; საქართველოს თავდაცვის ძალების წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობის სასწავლო მხარდამჭერი ცენტრი - „კრწანისი"; საქართველოს თავდაცვის ძალების სპეციალური ოპერაციების ძალები; საქართველოს თავდაცვის ძალების საჰაერო თავდაცვის ბრიგადა.

[12] სახალხო დამცველის აპარატის 2019 წლის 26 ივლისის N 14/8449 წერილი - 2019 წლის 1-5 ივლისს განხორციელებული მონიტორინგის შემდგომი ანგარიში;
სახალხო დამცველის აპარატის 2019 წლის 30 დეკემბრის N 14/14235 წერილი - 2019 წლის 25.11 – 04.12 - ში განხორციელებული მონიტორინგის შემდგომი ანგარიში

სამედიცინო მომსახურებისთვის გადახდილი თანხა. თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით,[13] 2020 წელს სამინისტროს მოსამსახურეები უზრუნველყოფილნი იქნებიან ჯანმრთელობის დაზღვევის არსებითად გაუმჯობესებული მომსახურების პირობებით, რაც საშუალებას მისცემს მათ გაცილებით მარტივად მიიღონ მაღალი ხარისხის მომსახურება. დაზღვეულ პირს თავისუფალი არჩევანის პრინციპით (სურვილისამებრ), უფლება ექნება არაპროვაიდერ კლინიკებში ჩაიტაროს ამბულატორიული/სტაციონარული მომსახურება და გაწეული ხარჯები აინაზღაუროს სამედიცინო და ფინანსური დოკუმენტაციის წარდგენის საფუძველზე სადაზღვევო კომპანიის გადაწყვეტილების შესაბამისად.

საანგარიშო პერიოდში, სხვადასხვა დროს განხორციელებული მონიტორინგების შედეგად, ასევე გამოვლინდა სამხედრო ფორმებთან და სამხედრო ფორმის ფეხსაცმელთან დაკავშირებული პრობლემები, კერძოდ, სამხედრო მოსამსახურეებს ზამთარშიც და ზაფხულში ეძლევათ მხოლოდ ერთი, ზამთრის სეზონური ფეხსაცმელი, რაც ზაფხულში არაპრაქტიკული და შემაწუხებელია; ასევე, თავდაცვის ძალების შესაბამისი სამსახურიდან ქვედანაყოფებს არ მიეწოდებათ საკმარისი რაოდენობის სამხედრო ფორმები ზომების მიხედვით, აღნიშნული პრობლემა განსაკუთრებით მწვავეა ქალი სამხედრო მოსამსახურეებისთვის, რადგან ძირითადად დიდი ზომის ფორმები მიეწოდებათ და უწევთ საკუთარი ხარჯებით გადაკეთება. თავდაცვის სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის თანახმად,[14] 2019 წლის დეკემბერში თავდაცვის უწყებამ მიიღო ზამთრის მაღალყელიანი ფეხსაცმელი, რითაც მოხდა სამხედრო მოსამსახურეთა სრული უზრუნველყოფა. ამასთან, მათი წერილის მიხედვით, დაგეგმილია მსოფლიოში წამყვანი ბრენდების როგორც უნიფორმის, ასევე მაღალყელიანი ფეხსაცმლის ზაფხულისა და ზამთრის მოდელების შეძენა.

ასევე დადგენილია, რომ პირადი შემადგენლობისთვის ერთერთ მწვავე პრობლემას წარმოადგენს, თავისუფალ დროს მობილური ტელეფონებით სარგებლობის უფლების შეზღუდვა. მითუმეტეს გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ, სწორედ მობილური ტელეფონი წარმოადგენს მათთვის ოჯახის წევრებთან კომუნიკაციის ერთადერთ საშუალებას, იმ პირობებში, როცა ბევრ მათგანს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება უწევს საცხოვრებელი სახლიდან მოშორებით.

მართალია, სამხედრო მოსამსახურეებს აქვთ შესაძლებლობა, დღის განმავლობაში, აუცილებელი საჭიროების დროს გამოიყენონ სამხედრო ნაწილის სამორიგეოში არსებული კორპორაციული ტელეფონები ან ითხოვონ მობილური ტელეფონები მათი უშუალო ხელმძღვანელებისგან, მათი განმარტებით, ყოველდღიურ პრაქტიკაში ამ სახით ოჯახის წევრებთან კომუნიკაცია, მათთვის არაკომფორტული და უხერხულია,

---

[13] საქართველოს თავდაცვის მინისტრის 24/01/2020 წლის N MOD 12000076147 კორესპონდენცია
[14] საქართველოს თავდაცვის მინისტრის 24/01/2020 წლის N MOD 12000076147 კორესპონდენცია

მითუმეტეს სამორიგეოში არსებული ტელეფონებიდან დარეკვის დროს ვერ ახერხებენ კონფიდენციალურად საუბარს და მოკლებული არიან თავისუფლად საუბრის შესაძლებლობას.

სამხედრო ნაწილებში მობილური ტელეფონის გამოყენების შეზღუდვა 2020 წლის 3 თებერვლამდე დარეგულირებული იყო „საქართველოს შეიარაღებული ძალების თანამშრომელთა/მოსამსახურეთა მიერ კომუნიკაციის საშუალებების გამოყენების წესების შესახებ" საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2013 წლის 3 ოქტომბრის N 1154 ბრძანებით, რომელიც არათანაბარ პირობებში აყენებდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლებს/მოსამსახურეებს და ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ თანასწორობის უფლებასაც.

2020 წლის 24 იანვარს სახალხო დამცველმა „საქართველოს შეიარაღებული ძალების თანამშრომელთა/მოსამსახურეთა მიერ კომუნიკაციის საშუალებების გამოყენების წესის შესახებ" საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2013 წლის 3 ოქტომბრის N1154 ბრძანებაში არსებული რეგულაციის შეცვლის თაობაზე N 14/2141 რეკომენდაციით მიმართა საქართველოს თავდაცვის მინისტრს.

როგორც ცნობილი გახდა, აღნიშნული ბრძანება ძალადაკარგულად გამოცხადდა, „საქართველოს თავდაცვის ძალების მოსამსახურეთა მიერ კომუნიკაციის საშუალებების გამოყენების წესების შესახებ" საქართველოს თავდაცვის მინისტრის 03.02.2020 წლის NMOD32000000115 ბრძანებით, რაც სახალხო დამცველისთვის აღნიშნული რეკომენდაციის მომზადების შემდეგ გახდა ცნობილი. ვინაიდან, საკანონმდებლო მაცნეში, თავდაცვის სამინისტროს მიერ გამოცემული ყველა ბრძანება არ ქვეყნდება, სახალხო დამცველის აპარატი მოკლებულია შესაძლებლობას რეგულარულად თვალყური ადევნოს ცვლილებების დინამიკას. შესაბამისად, რეკომენდაციის მომზადების პროცესში თავდაცვის სამინისტროდან რამდენჯერმე გამოთხოვილი ინფორმაციის საფუძველზე ჯერ კიდევ ძალაში იყო „საქართველოს შეიარაღებული ძალების თანამშრომელთა/მოსამსახურეთა მიერ კომუნიკაციის საშუალებების გამოყენების წესის შესახებ" საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2013 წლის 3 ოქტომბრის N1154 ბრძანება, რის საფუძველზეც მომზადდა შესაბამისი რეკომენდაცია და გაიგზავნა თავდაცვის სამინისტროში.

მიუხედავად იმისა, რომ თავდაცვის მინისტრის 03/02/2020 წლის N MOD32000000115 ბრძანებაში აისახა გარკვეული ცვლილებები თავდაცვის ძალების მოსამსახურეთა მიერ კომუნიკაციის საშუალებების გამოყენების წესებთან დაკავშირებით, არსებითად არ შეცვლილა ის პრინციპი, რაც დაედო საფუძვლად სახალხო დამცველის რეკომენდაციის მომზადებას. ამ ბრძანების მე-2 პუნქტის მიხედვით, მთლიანად აკრძალულია შინაგანაწესით განსაზღვრულ სამუშაო საათებში მობილური ტელეფონით სარგებლობის უფლება. ასევე, N MOD32000000115 ბრძანება კვლავ

არათანაბარ პირობებში აყენებს თავდაცვის ძალების სამხედრო მოსამსახურეებს და ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ ძირითად უფლებებს. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სახალხო დამცველმა კვლავ მიმართა თავდაცვის მინისტრს, რომ 2020 წლის 24 თებერვლის N14/2141 რეკომენდაციაში მითითებულ საკითხებზე, იმსჯელოს ახალი NMOD32000000115 ბრძანების ჭრილში.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ქვედანაყოფების სამედიცინო პუნქტებში არსებული ინფრასტრუქტურული პრობლემებისა და საჭირო სამედიცინო ინვენტარით უზრუნველყოფის საკითხთან დაკავშირებით, რომელზეც სახალხო დამცველი მიუთითებდა თავდაცვის სამინისტროს მიმართ 2019 წელს გაცემულ რეკომენდაციებში, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს N MOD 81900894607 კორესპონდენციით გვეცნობა, რომ თავდაცვის ძალებში ეტაპობრივად, პრიორიტეტების მიხედვით მიმდინარეობს სამედიცინო ქვედანაყოფების რეორგანიზაცია და განთავსების ადგილების რეკონსტრუქცია. სამედიცინო დეპარტამენტის პრევენციული მედიცინის სპეციალისტების მიერ მუდმივად ხორციელდება ქვედანაყოფების სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის მონიტორინგი, მათ მიერ გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინება ლაზარეთებისა და სამედიცინო პუნქტების მოწყობისას, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად.[15]

ასევე, თავდაცვის სამინისტროდან მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, ხორციელდება ქვედანაყოფების სამედიცინო ავტოტექნიკით დაკომპლექტება პრიორიტეტების მიხედვით. სამედიცინო ავტომანქანები გადაეცა წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობის უფროსი სერჟანტი ზაზა ფერაძის სახელობის საწყისი საბრძოლო მომზადების ცენტრს, წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობის პოლკოვნიკ ბესიკ ქუთათელაძის სახელობის საჩხერის სამთო მომზადების სკოლას, დასავლეთის სარდლობის მე-6 საარტილერიო ბრიგადას, მე-2 ქვეით ბრიგადას, მე-3 ქვეით ბრიგადასა და აღმოსავლეთის სარდლობის მე-4

---

[15] გარემონტდა და მოეწყო შერეული საავიაციო ესკადრილიის (მარნეული) ლაზარეთი, ეროვნული გვარდიის უზრუნველყოფის ასეულის სამედიცინო ოცეულის სამედიცინო პუნქტი, მე-10 კადრირებული ბრიგადა. დაგეგმილია სპეციალური ოპერაციების ძალების მაიორ გელა ჭედიას სახელობის სპეციალური დანიშნულების სასწავლო ცენტრის სამედიცინო პუნქტის გარემონტება. თავდაცვის ძალებში მიმდინარეობს მოძველებული სამედიცინო აღჭურვილობის ეტაპობრივი ჩანაცვლება-განახლება თანამედროვე სტანდარტებისა და მოთხოვნების შესაბამისად. მოეწყო თავდაცვის ძალების გენერალური შტაბის სამედიცინო დეპარტამენტის გენერალური შტაბის სამედიცინო უზრუნველყოფის პუნქტისა და ეროვნული გვარდიის უზრუნველყოფის ასეულის სტომატოლოგიური კაბინეტი. განხორციელდა აღმოსავლეთ სარდლობის I ქვეითი ბრიგადის, მე-4 მექანიზირებული ბრიგადის, დასავლეთის სარდლობის მე-2 ქვეითი ბრიგადისა და წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობის გიორგი ანწუხელიძის სახელობის სერჟანტთა აკადემიის სტომატოლოგიური კაბინეტების დაკომპლექტება. სტაციონარული რენტგენოგრაფი გადაეცა მე-2 ქვეითი ბრიგადის ლაზარეთს, ასევე შესყიდულია და გადაეცემა მე-4 მექანიზირებულ ბრიგადას.

მექანიზირებულ ბრიგადას. 2019 წელს შესყიდულია 4 სამედიცინო ავტოტექნიკა, რომლებიც გადაეცემა აღმოსავლეთ სარდლობის პირველ ქვეით ბრიგადას, საჰაერო თავდაცვის ბრიგადას, სპეციალური ოპერაციების ძალებსა და ეროვნული გვარდიის მე-10 კადრირებულ ბრიგადას.

ამავე კორესპონდენციის თანახმად, სახალხო დამცველის რწმუნებულების მიერ, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ქვედანაყოფების[16] მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი ნაკლოვანებები, წერილში აღნიშნული ქვედანაყოფების ხელმძღვანელობასთან კოორდინაციით აღმოფხვრილი იქნება ჯარების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის საინჟინრო ჯგუფის ძალებით, შესაძლებლობის ფარგლებში, ხოლო ისეთი სამუშაოების შესრულებაზე, რომლებიც სარდლობის საინჟინრო ჯგუფის ძალებით შეუძლებელია, მომზადდება შესაბამისი დოკუმენტაცია (დეფექტური აქტი) და შემდგომი რეაგირებისთვის გადაიგზავნება შესაბამის სამსახურებში.

რაც შეეხება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ნაწილების საცხოვრებელ ყაზარმებში და სასადილო/სამზარეულოებში არსებული ინფრასტრუქტურული პრობლემების აღმოფხვრისა და სამხედრო მოსამსახურეთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების თაობაზე სახალხო დამცველის რეკომენდაციებს, საქართველოს თავდაცვის მინისტრის N MOD 12000076147 კორესპონდენციით გვეცნობა, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინფრასტრუქტურული პროექტების 2020 წლის დამტკიცებული მაჩვენებელი შეადგენს 100 მილიონ ლარს, რაც 2019 წელს დამტკიცებულ მაჩვენებელს ოთხჯერ აღემატება. შესაბამისად, ეტაპობრივად მიმდინარეობს სარეაბილიტაციო ნუსხის იდენტიფიცირება და ყველა მიმდინარე დეფექტის აღმოფხვრა. თავდაცვის სამინისტრო 2020 წელს გეგმავს 52 სასადილოს კაპიტალურ რემონტს, ინვენტარის განახლებასა და საკუთარი საცხობი ობიექტების დამატებას.

თავდაცვის სამინისტროდან მოწოდებული ინფორმაციის[17] მიხედვით, მიმდინარეობს ექსპლუატაციის შედეგად დაზიანებული მატრასების შეცვლა, გაფორმებულია

---

[16] საქართველოს თავდაცვის ძალების სპეციალური ოპერაციების ძალები; საქართველოს თავდაცვის ძალების ავიაციისა და საჰაერო თავდაცვის სარდლობის საჰაერო თავდაცვის ბრიგადა;
საქართველოს თავდაცვის ძალების ავიაციისა და საჰაერო თავდაცვის სარდლობის საჰაერო თავდაცვის ბრიგადის I საზენიტო ბატალიონი; საქართველოს თავდაცვის ძალების ავიაციისა და საჰაერო თავდაცვის სარდლობის ცენტრალური საკომანდო პუნქტი; საქართველოს თავდაცვის ძალების წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობის უფროს სერჟანტ ზაზა ფერაძის სახელობის საწყისი საბრძოლო მომზადების ცენტრი (ალგეთის საწვრთნელი ბაზა); საქართველოს თავდაცვის ძალების ეროვნული გვარდია; საქართველოს თავდაცვის ძალების აღმოსავლეთის სარდლობის საბრძოლო საინჟინრო ბატალიონი

[17] საქართველოს თავდაცვის მინისტრის 24.01.2020 წლის N MOD

ხელშეკრულება 4 000 ცალი მატრასის შესასყიდად. 2020 წლის შესყიდვების გეგმით დაგეგმილია, როგორც ძველი მატრასების, ასევე არსებული ინდივიდუალური კარადების ჩანაცვლება ახლით. ასევე, 2020 წლის შესყიდვების გეგმაში გათვალისწინებულია ახალი ე.წ. „გორტექსების" შეძენა. ამავე წერილის თანახმად, დამატებით მიმდინარეობს ახალი ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რომელიც ორიენტირებული იქნება მაღალ ხარისხზე.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი დააკვირდება ზემოაღნიშნული ცვლილებების პრაქტიკაში განხორციელებას.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული მონიტორინგების ფარგლებში, ასევე დათვალიერდა იურიდიული დოკუმენტაცია. რიგ სამხედრო ნაწილებში[18] დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრების შესახებ ბრძანებებში ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრების წესი და პირობები არ იყო განმარტებული სრულყოფილად, კერძოდ, არ შეიცავდა მითითებას სადისციპლინო წესდების 66-ე მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გადასინჯვის უფლებაზე. სახალხო დამცველმა, მონიტორინგის შემდგომ ანგარიშებში,[19] აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისი რეკომენდაციებით მიმართა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს. მისასალმებელია, რომ თავდაცვის სამინისტრომ გაითვალისწინა[20] სახალხო დამცველის რეკომენდაცია და აღნიშნული ხარვეზი აღმოფხვრილია.

თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ დამონტაჟებული საჩივრის ყუთები უმეტეს სამხედრო ნაწილებში განთავსებულია საჯარო და თვალსაჩინო ადგილებში, ძირითადად სასადილოს შესასვლელსა და საკონტროლო გამშვებ პუნქტებზე. გამომდინარე იქიდან, რომ საჩივრის ყუთების მსგავსი განლაგება თავისთავად ვერ უზრუნველყოფს საჩივრის ავტორის ანონიმურობას, სახალხო დამცველმა 30.09 – 04.10 - ში განხორციელებული მონიტორინგის შემდგომ ანგარიშში

---

[18] საქართველოს თავდაცვის ძალების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის შეიარაღებისა და ტექნიკის სარემონტო ბაზა; საქართველოს თავდაცვის ძალების წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობის სასწავლო ცენტრი კრწანისი; საქართველოს თავდაცვის ძალების საჰაერო თავდაცვის ბრიგადა; საქართველოს თავდაცვის ძალების ეროვნული გვარდია; საქართველოს თავდაცვის ძალების აღმოსავლეთის სარდლობის საბრძოლო საინჟინრო ბატალიონი; საქართველოს თავდაცვის ძალების დასავლეთის სარდლობის II ქვეითი ბრიგადა

[19] 2019 წლის 1-5 ივლისს განხორციელებული მონიტორინგი - სახალხო დამცველის აპარატის 2019 წლის 26 ივლისის N 14/8449 წერილი; 2019 წლის 16-30 ივლისს განხორციელებული მონიტორინგი - სახალხო დამცველის აპარატის 2019 წლის 9 აგვისტოს N 14/8906 წერილი; 2019 წლის 12-16 აგვისტოს განხორციელებული მონიტორინგი - სახალხო დამცველის აპარატის 23 სექტემბრის N 14/10388 წერილი

[20] საქართველოს თავდაცვის მინისტრის 16/08/2019 წლის N MOD 71900846311 წერილი; საქართველოს თავდაცვის მინისტრის 02/09/2019 წლის N MOD 81900894607 წერილი; საქართველოს თავდაცვის მინისტრის 22/10/2019 წლის N MOD 31901083809 წერილი

რეკომენდაცია[21] გაუწია თავდაცვის სამინისტროს, რომ სამხედრო ბაზების ტერიტორიაზე არსებული საჩივრის ყუთები განლაგდეს ისეთ ადგილებში, სადაც სამხედრო მოსამსახურეს შეეძლება დამოუკიდებლად გადაადგილება და საჭიროების შემთხვევაში ყუთით კონფიდენციალურად სარგებლობა. თავდაცვის სამინისტროდან მიღებული ინფორმაციით,[22] საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფებს შორის მიმდინარეობს კონსულტაციები გენერალური ინსპექციის „ცხელი ხაზის" სააბონენტო ყუთების განლაგებასთან დაკავშირებით.

მონიტორინგის ფარგლებში, ასევე დადგენილია, რომ სამხედრო ნაწილებში საკვებს გაცემამდე 30 წუთით ადრე სინჯავს სამხედრო ნაწილის მორიგე ექიმი/ექთანი, თუმცა გაურკვეველია აღნიშნული პრაქტიკის წარმოშობის სამართლებრივი საფუძველი და საჭიროება. ამ საკითხთან დაკავშირებით, ასევე რეკომენდაციით[23] მიმართა სახალხო დამცველმა თავდაცვის სამინისტროს, რომ გადაიხედოს მორიგე ექიმის მიერ საკვების გასინჯვის არსებული პრაქტიკის მიზანშეწონილობა და შემუშავდეს ახალი ინსტრუქცია, რომელიც გაითვალისწინებს საერთაშორისო გამოცდილებას და დაეფუძნება ექიმთა უფლებების დაცვის პრინციპს. თავდაცვის სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის[24] თანახმად, თავდაცვის სამინისტროში შემუშავების პროცესშია საქართველოს თავდაცვის ძალების შინაგანი სამსახურის წესდების ახალი პროექტი. ასევე, სამხედრო ქვედანაყოფების კვებითი მომსახურების ხარისხის შემოწმება/კონტროლი დამატებით, ხორციელდება სამინისტროს ფინანსების მართვის დეპარტამენტის ხარისხის კონტროლის სამმართველოს კვების, სანივთე ქონების, საწვავ-საპოხი მასალებისა და სურსათის ხარისხის კონტროლის განყოფილების თანამშრომლების მიერ. იმედს გამოთქვამთ, რომ აღნიშნული წესდებით დაიხვეწება თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ნაწილებში საკვების გასინჯვა/შემოწმების არსებული პრაქტიკა და შემუშავდება ახალი ინსტრუქცია, რომელიც დაეფუძნება ექიმთა უფლებების დაცვას.

---

[21] 2019 წლის 30.09 – 04.10 - ში განხორციელებული მონიტორინგი - სახალხო დამცველის აპარატის 2019 წლის 13 ნოემბრის N 14/12305 წერილი

[22] საქართველოს თავდაცვის მინისტრის 09/12/2019 წლის N MOD 01901272824 წერილი

[23] 2019 წლის 30.09 – 04.10 - ში განხორციელებული მონიტორინგი - სახალხო დამცველის აპარატის 2019 წლის 13 ნოემბრის N 14/12305 წერილი

[24] საქართველოს თავდაცვის მინისტრის 09/12/2019 წლის N MOD 01901272824 წერილი